



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბლიის მღვიმე

ბლიის მღვიმე, კარსტული შახტი გუდაუთის რ-ნის ტერიტორიაზე, ბზიფის კირქვულ მასივზე, 1750 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებიან კირქვებში. მღვიმეში ჩასასვლელი ადგილ „ბლიის“ მიდამოებშია. გეგმაში მღვიმეს ლაბირინთოვანი, ხოლო ჭრილში – კასკადური აღნაგობა აქვს. ცალკეული შიგა ჭების სიღრმე 6-იდან 60 მ-მდეა; ჭები ერთმანეთს ებმის მოკლე, დამრეცფსკერიანი მაღალი დერეფნებით. მღვიმე აგეგმილია 210 მ, სიღრმედე. აქვს განშტოებები. ჯამური სიგრძე 370 მმ მოცულობა 5400 მ<sup>3</sup>. დაბალ იარუსზე გაედინება ნაკადული. მღვიმის ზედა ნაწილში კარგად შეიმჩნევა მდნარი თოვლის წყლების ზემოქმედების კვალი.

**ბ. ტატაშიძე** (  
ტინტილოზოვი)

---